



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011767705003520

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

335902

21 / სექტემბერი / 2020 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 350988/17; **თარიღი:** 15.09.2020 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: იმედა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001015229).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის გურიის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „გურიის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ № 882020630843-03 (09.09.2020) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის ბათილად იქნეს ცნობილი გასაჩივრებული გადაწყვეტილება და დაკმაყოფილდეს სარეგისტრაციო განცხადების მოთხოვნა.

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართული პირები: ცისანა მელაშვილის (პირადი ნომერი 33001048673) მემკვიდრე, ირმა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001053841), ნონა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001070597), ასმათ მელაშვილი (პირადი ნომერი 33001011227) და ინგა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001056463).

უძრავი ნივთის მისამართი: მუნიციპალიტეტი ოზურგეთი, სოფელი დვაბზუ (გალმა დვაბზუ).

№ 350988/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარე განმარტებულია, როგორც ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. ამ კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში. ამ კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების გათვალისწინებით, ვინაიდან № 882020630843 სარეგისტრაციო განცხადებით მოთხოვნილია 26.19.15.152 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის საჯარო

რეესტრის ჩანაწერებში ტექნიკური ხარვეზის შესწორება, შესაბამისად, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმულ უნდა იქნენ ამ უძრავი ნივთის რეგისტრირებული თანამესაკუთრები - ცისანა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001048673) (ვინაიდან, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მონაცემთა ბაზაში მითითებულია, რომ გარდაიცვალა, წარმოებაში ჩართულ უნდა იქნეს მისი მემკვიდრე), ირმა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001053841), ნონა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001070597), ასმათ მელაშვილი (პირადი ნომერი 33001011227) და ინგა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001056463).

საჯარო რეესტრმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების საფუძველზე,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში იმედა მელაშვილის №350988/17 (15.09.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;

2. წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ იქნენ შემდეგი პირები: ცისანა მელაშვილის (პირადი ნომერი 33001048673) მემკვიდრე, ირმა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001053841), ნონა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001070597), ასმათ მელაშვილი (პირადი ნომერი 33001011227), ინგა მელაშვილი (პირადი ნომერი 33001056463);

3. ადმინისტრაციული საჩივრისა და მას თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეგზავნოთ გურიის რეგიონულ ოფისსა და დაინტერესებულ მხარედ ჩაბმულ პირებს;

4. დაინტერესებულ მხარეს განემარტოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით;


5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2) და ოზურგეთის იუსტიციის სახლში (მის.: იოანე პეტრიწის ქ. № 9) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;

6. წინამდებარე გადაწყვეტილება ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;

7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე